2014 წლის პროგრამის ანგარიში

1. პროგრამის დასახელება:

,,პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“

2. ქვეპროგრამები: არ აქვს

3. პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

4. 2014 წლის იანვარ-დეკემბრის საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ეგიდით და პროგრამის ორგანიზებით თბილისის მასწავლებლის სახლში 22-27 იანვარს ჩატარდა სპეციალური **ტრენინგი** პროფესიული სასწავლებლების ინგლისური ენის პედაგოგებისათვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით (ტრენინგის ხანგრძლივობა 5 დღე, 25 საათი). ტრენინგი ბრიტანეთიდან მოწვეულმა ქართველმა სპეციალისტმა ჩაატარა და მასში მონაწილეობა მიიღო 10-მა პედაგოგმა თბილისის 5 პროფესიული კოლეჯიდან („მერმისი“, „სპექტრი“, გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი, „იკაროსი“ და სსიპ პროფესიული კოლეჯი “აიტი“ -EMIS).

- გაიმართა პროფესიული განათლების სფეროს წარმომადგენელთა **სამუშაო შეხვედრა** თემაზე: „პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება - 2014 წლის გეგმები“ (14 თებერვალი, თბილისის მასწავლებლის სახლი); საჯარო და კერძო პროფესიული სასწავლებლების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის, გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) საქართველოს ცენტრის წარმომადგენლების მონაწილეობით (სულ 70-მდე მონაწილე). განხილული იქნა მენტორ-მასწავლებლების მომზადება და მათი როლი პროფესიული განათლების სისტემაში; E-Learning პროფესიულ განათლებაში; მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესი; ინკლუზიური პროფესიული განათლება; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და პარტნიორი ორგანიზაციების გეგმები კოლეჯების პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიმართულებით.

- ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების მენტორ-მასწავლებელთა **ტრენინგი** პედაგოგიურ უნარებში (21-23 მარტი, მოდული: სასწავლო პროცესის განმავლობაში კომუნიკაცია და მოსწავლეთა მოტივირება; ტრენინგის ხანგრძლივობა 3 დღე - 16 საათი); ტრენინგი გაიარა 16 საჯარო პროფესიული სასწავლებლის 25-მა წარმომადგენელმა. ტრენინგის თემატიკას შეადგენდა: ეფექტური კომუნიკაციის არსი; მოსწავლეებში კომუნიკაციური კომპეტენცი-ების განვითარების ეფექტური სტრატეგიები; პედაგოგიური სიტუაციების ანალიზი; სწავლებისა და სწავლის ეფექტური სტრატეგიები, მოტივაცია; კონფლიქტების მართვის სტრატეგიები და მათი ეფექტურად გამოყენების რეკომენდაციები.

- თებერვალი-ოქტომბერი. საჯარო პროფესიულ სასწავლებლებში ჩატარდა მასწავლებელთა **ტრენინგების** კურსი სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით, სახელწოდებით: „ინტელის ძირითადი კურსი: პროექტებზე დაფუძნებული სწავლება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება“ (კურსის ხანგრძლივობა - 9 დღე (36 სთ); 18 საჯარო პროფესიულ სასწავლებელში ტრენინგ-კურსი გაიარა სულ 378-მა პედაგოგმა. მონაწილეები ამზადებენ ისტ-ით გამდიდრებულ სასწავლო პროექტებს, რომელთაც ათავსებენ ინტერნეტში შესაბამისი ციფრული რესურსით (ბლოგები, პრეზენტაციები, შეფასების რუბრიკები, აუდიო-ვიდეო ფაილები და ა.შ), რაც ხელს შეუწყობს ქართულენოვანი ციფრული სასწავლო მასალის გამდიდრებას, არსებული კომპიუტერული ლაბორატორიის მიზანმიმართულად და გეგმიურად გამოყენებას სასწავლო პროცესში, სასწავლო გარემოს გამრავალფეროვნებას

- ივლისში, სექტემბერსა და ოქტომბერში ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა **ტრენინგები** ინკლუზიური განათლების მიმართულებით, მოდულში - „ინკლუზიური პროფესიული განათლების თანამედროვე პრინციპები: პიროვნული ფაქტორების, პროფესიის მოთხოვნების და სასწავლო გარემოს ანალიზი“. 5 საჯარო პროფესიულ სასწავლებელში („იკაროსი“, „თეთნულდი“, „ლაკადა“, „ფაზისი“ და ზუგდიდის შ.მესხიას სახ. უნივერსიტეტის პროფეს. განყ.) ტრენინგებში მონაწილეობდა საერთო ჯამში 88 მასწავლებელი.

- პროგრამის ფარგლებში დაქირავებული იქნა **კონსულტანტი** სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების ეფექტური განხორციელების მიზნით (ივნისი-სექტემბერი).

- ჩატარდა **კონკურსი** პროგრამის დარგობრივი ექსპერტ-კონსულტანტების შესარჩევად ტურიზმის, სასტუმრო და სარესტორნო საქმის პროფესიული პროგრამების მასწავლებელთათვის საწარმოებში ტრენინგების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით. კონკურსის ფარგლებში შერჩეულ იქნა 4 ექსპერტ-კონსულტანტი.

- განხორციელდა **სამუშაო ვიზიტები** სხვადასხვა რეგიონის საჯარო პროფესიულ სასწავლებლებში, შეხვედრები ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან, ტრენინგების ორგანიზებისა და მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით, ასევე წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.

- გაიმართა საკოორდინაციო და საკონსულტაციო **შეხვედრები** განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, სხვა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

- 10-11 ივლისი; „პროფესიული სტანდარტები განათლებაში“ პროგრამასთან თანამშრომლობით ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა **შუალედური კონფერენცია** თემაზე: პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადება და განვითარება (ქ. რუსთავი), საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების, კერძო კოლეჯების ასოციაციისა და კერძო პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლების, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლების მონაწილეობით. მოქმედი მასწავლებლები გაეცნენ კონცეფციის სამუშაო ვერსიას და წარმოადგინეს შენიშვნები და წინადადებები საკუთარი პროფესიული

განვითარებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობების შესახებ, შემოგვთავაზეს რეკომენდაციები კონცეფციაში ცვლილებების თაობაზე.

- ივნისი-სექტემბერი. ახალი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების პილოტირების პროცესის (UNDP ორგანიზებით) **გარე მონიტორინგის** ფარგლებში განხორციელდა სამუშაო ვიზიტები 4 პროფესიულ სასწავლებელში: ახალციხის საზ. კოლეჯში „ოპიზარი“, კაჭრეთის საზ. კოლეჯში „აისი“, თელავის პროფესიულ კოლეჯში „პრესტიჟი“, და ზუგდიდის შ. მესხიას სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაკის ფილიალში; პროექტის ზოგადი განვითარების ფარგლებში მონიტორინგის სამუშაო პროცესში განხორციელდა: დასწრება და დაკვირვება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, პედაგოგების აქტივობაზე (მათთან თანამშრომლობით); სასწავლო პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და შეფასება; მონაცემთა შეგროვება პროგრამის ეფექტურობის შეფასების მიზნით (ინფორმაცია სწავლის მოსალოდნელი შედეგების მიღწევის მდგომარეობის შესახებ); შიდა მონიტორინგის შედეგების გაცნობა, სწავლების პროცესში წარმოშობილი პრობლემების იდენტიფიცირება და განხილვა, რეკომენდაციების შეთავაზება.

- გაიმართა პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა პირველი ერთობლივი **საზაფხულო სკოლა** ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში „ახალი ტალღა“ (21-31 აგვისტო). მასში მონაწილეობდა 60 მასწავლებელი და 40 სტუდენტი საქართველოს 11 საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯიდან, რომლებიც ტურიზმის, სასტუმრო და სარესტორნო სერვისის პროფესიულ პროგრამებს ახორციელებენ. საზაფხულო სკოლის თემატიკას შეადგენდა: პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტის პროექტები; პროფესიული სწავლების სფეროს ტურიზმის, სასტუმრო და სარესტორნო სერვისის მიმართულებები; მასწავლებელთათვის საწარმოებში ტრენინგების მეთოდოლოგია; პროფესიული სწავლების სტრატეგიები; ინკლუზიური პროფესიული განათლების პრინციპები; ახალი პროფესიული სტანდარტებისა და მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია, პროცესის დინამიკა და სარგებელი; ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირება პროფესიულ სწავლებაში და სხვ. საზაფხულო სკოლის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები მოიცავდა ლექცია/პრეზენტაციებს, სემინარებს, პრაქტიკულ სამუშაოებს, მასტერკლასებს, ვიზიტებს/ექსკურსიებს, რომლებსაც კვალიფიციური სპეციალისტები უძღვებოდნენ.

- გაიმართა პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა **სამუშაო შეხვედრა** თემაზე: „მასწავლებელთა საგნობრივი ტრენინგები საწარმოებში, თანამედროვე ტექნოლოგიებში“ (8 მაისი), საჯარო და კერძო პროფესიული კოლეჯების ტურიზმისა და მედიცინის მიმართულების სპეციალობათა 60-მდე პედაგოგის მონაწილეობით; საგნობრივი მიმართულებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენის მიზნით განხილული იქნა პროფესიული პროგრამებისათვის dacum-მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებული სქემები, საგნობრივი ტრენინგების სავარაუდო თემატიკა და ტრენინგების ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები (დარგების მიხედვით).

- ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებების **კვლევა** ტურიზმის, სასტუმრო და სარესტორნო საქმის პროფესიული პროგრამების მიმართულებით (კურიკულუმების განვითარების dacum-მეთოდოლოგიით შემუშავებული სქემების საფუძველზე).

- აგვისტო-ნოემბერი. შესრულდა პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთათვის საწარმოებში, თანამედროვე ტექნოლოგიებში პრაქტიკული ტრენინგების **საორგანიზაციო**

სამუშაო; პროგრამის 4 დარგობრივი ექსპერტ-კონსულტანტის მიერ, პედაგოგთა და დამსაქმებელთა საჭიროებების კვლევის შედეგების საფუძველზე (კურიკულუმების განვითარების dacum-მეთოდოლოგიით შემუშავებული სქემების გამოყენებით), შემუშავებული იქნა ტრენინგ-მოდულები მასწავლებელთათვის შემდეგი პროფესიული პროგრამების მიმართულებით (მზარეული, კონდიტერი, ბართენდერი, სერვის მენეჯერი (სარესტორნო საქმე), სასტუმრო მენეჯმენტის სპეციალისტი, მიღება-განთავსების სპეციალისტი, ტუროპერატორი, სპეც.ტურისტული გიდი, სალაშქრო გიდი, სამთო გიდი. აღნიშნული ტრენინგ-მოდულების ჩარჩო განხილული იქნა სამუშაო ჯგუფებში - ტრენინგების მონაწილე მასწავლებლების მონაწილეობით, ტურიზმის მიმართულებით გამართული საზაფხულო სკოლის ფარგლებში; განხორციელდა მოლაპარაკებები პოტენციურ პარტნიორებთან (დამსაქმებლებთან); ტრენინგ-პროგრამების განხორციელებისათვის შერჩეული იქნა პარტნიორი ორგანიზაციები; განხორციელდა შემუშავებული ტრენინგ-პროგრამების ვალიდაცია აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან;

- ნოემბერი. გაფორმებული იქნა ურთიერთთანამშრომლობის **მემორანდუმები** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და 7 პარტნიორ ორგანიზაციას შორის.

- 2014 წლის 18-26 ნოემბერს ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა პრაქტიკული **ტრენინგები** ტურიზმის, სასტუმრო და სარესტორნო საქმის 8 პროფესიული პროგრამის მიმართულებით. ტრენინგები ჩატარდა 6 ორგანიზაციის ბაზაზე: სასტუმრო ჰოლიდეი ინ თბილისი, ახალი სკოლა, საქართველოს ბარმენთა ასოციაცია, ტურისტული კომპანია „აღმოაჩინე საქართველო“, ატელიე „დესერტი“ და ტურისტული მომსახურება „მოგზაურობა ველურ ბუნებაში“. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 14 პროფესიული სასწავლებლის 61-მა მასწავლებელმა.

- პროგრამის ფარგლებში დაქირავებული იქნა ინტეგრირებული **ექსპერტი** (საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების CIM და GIZ წარმომადგენელი) მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის შემუშავებისა და განხორციელებაში მონაწილეობის მიზნით.

- 2014 წლის 3-6 დეკემბერს ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა **ტრენინგი** პედაგოგიურ უნარებში: პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა (როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე); ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საჯარო და კერძო პროფესიული სასწავლებლების 42-მა წარმომადგენელმა.

- 2014 წლის 11-12 დეკემბერს (ქ. წყალტუბო) გაიმართა საჯარო და კერძო პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენელთა წლის **შემაჯამებელი კონფერენცია**: „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით 2014 წელს განხორციელებული ღონისძიებები და სამომავლო გეგმები“ (კონფერენციაში მონაწილეობდა სულ 60-მდე მონაწილე). განხილული იქნა 2015 წლის სამოქმედო გეგმა; მენტორ-მასწავლებლების მომზადება და მათი როლი პროფესიული განათლების სისტემაში; საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება პროფესიულ განათლებაში; ინკლუზიური პროფესიული განათლება; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და პარტნიორი ორგანიზაციების გეგმები კოლეჯების პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიმართულებით.

- იანვარი-დეკემბერი. მიმდინარეობდა მუშაობა „პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა მომზადების და განვითარების კონცეფციის“ პროექტზე (გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტთან და „პროფესიული სტანდარტები განათლებაში“ პროგრამასთან თანამშრომლობით); კონცეფციის პროექტი სხვადასხვა დონეზე სამუშაო ჯგუფებში განხილვის შემდგომ წარდგენილი იქნა შესაბამის სტრუქტურებში დასამტკიცებლად.

5. დასახული შედეგები:

პროფესიული სასწავლებლების მენტორ-მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგი პედაგოგიურ უნარებში;

საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა მინიმუმ 40%-მა გაიარა ტრენინგი სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაში;

საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა მინიმუმ 40%-მა გაიარა ტრენინგი სწავლება-შეფასების თანამედროვე მეთოდებში ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით;

ჩატარდა საჯარო და კერძო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაში;

ჩატარდა დარგობრივი სამუშაო შეხვედრები/სემინარები საჯარო და კერძო პროფესიული კოლეჯების მასწავლებლებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით;

ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა აკადემიური საჭიროებების კვლევა წინასწარ შერჩეული საგნობრივი მიმართულებით, რის საფუძველზეც დაიგეგმება სატრენინგო მოდულების თემატიკა და განხორციელდება შესაბამისი დარგის მასწავლებელთა საგნობრივი ტრენინგები;

საჯარო პროფესიული კოლეჯების მასწავლებელთა მინიმუმ 10%-მა გაიარა საგნობრივი ტრენინგები საწარმოებში, თანამედროვე ტექნოლოგიებში პრიორიტეტული პროფესიების მიმართულებით, გადამუშავებული პროფესიული სტანდარტების საფუძველზე;

ჩატარდა პროფესიული კოლეჯების მასწავლებელთა შუალედური და შემაჯამებელი კონფერენციები პროფესიული სწავლების სფეროს წარმომადგენელთა მონაწილეობით;

მოეწყო პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობლივი საზაფხულო სკოლა პრიორიტეტული პროფესიების მიხედვით;

საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა მინიმუმ 40%-მა გაიარა ტრენინგი პედაგოგიური კვლევის მეთოდებში; ტრენინგი ასევე ჩაუტარდათ კერძო კოლეჯების წარმომადგენლებს.

6. მიღწეული შედეგები:

პროფესიული სასწავლებლების მენტორ-მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგი პედაგოგიურ უნარებში;

საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა 50%-ზე მეტმა გაიარა ტრენინგი სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაში;

საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა 15%-მა გაიარა ტრენინგი სწავლება-შეფასების თანამედროვე მეთოდებში ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით;

ჩატარდა დარგობრივი სამუშაო შეხვედრები/სემინარები საჯარო და კერძო პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებისა და პროფესიული განათლების განვითარებაში ჩართული მხარეების მონაწილეობით;

ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა ტურიზმის, სასტუმრო და სარესტორნო საქმის მიმართულებით, რის საფუძველზეც შემუშავდა სატრენინგო მოდულები და განხორციელდა შესაბამისი დარგის მასწავლებელთა საგნობრივი ტრენინგები;

საჯარო პროფესიული კოლეჯების მასწავლებელთა 10%-მა გაიარა საგნობრივი ტრენინგები თანამედროვე ტექნოლოგიებში ტურიზმის, სასტუმრო და სარესტორნო საქმის მიმართულებით;

ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა შუალედური და შემაჯამებელი კონფერენციები პროფესიული სწავლების სფეროს წარმომადგენელთა მონაწილეობით;

გაიმართა პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობლივი საზაფხულო სკოლა ტურიზმის მიმართულებით;

საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგი პედაგოგიური კვლევის მეთოდებში; ტრენინგი ასევე ჩაუტარდათ კერძო კოლეჯების წარმომადგენლებს.

7. წარმოქმნილი საფრთხეები და მათი გავლენა პროგრამის მიმდინარეობაზე:

პროფესიული განათლების სისტემაში ახალი პროფესიული სტანდარტებისა და მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესი არ არის დასრულებული. არსებულმა გარემოებებმა შესაბამისად გამოიწვია პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელების შეფერხება.

8. განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

1. მოცემულ ეტაპზე პროფესიული განათლების სისტემაში ახალი პროფესიული სტანდარტებისა და მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესი არ არის დასრულებული. ამჟამად სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა ახალი მოდულური პროგრამების შემუშავების მიმართულებით, კურიკულუმების უმეტესობა ჯერ არ არის საბოლოოდ შემუშავებული და პილოტირება მხოლოდ რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებით, არსებული პროგრამების პარალელურად, დაიწყო მიმდინარე წლის ნოემბრიდან, ხოლო დეკემბერში შეჩერებულ იქნა სასამართლოს გადაწყვეტილებით. იმავდროულად მიმდინარეობს მოდულური პროგრამების დანერგვის მიმართულებით სატრენინგო მოდულის დამუშავებაც პროფესიული სასწავლებლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მასწავლებლების მონაწილეობით; აღნიშნულმა გარემოებებმა, შესაბამისად, გამოიწვია შეფერხება და ცვლილებები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობის განხორციელებაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგებს მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მიმართულებით ჩაატარებს 2015 წლიდან.

2. საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა მხოლოდ დაახლოებით 15%-მა გაიარა ტრენინგი სწავლება-შეფასების თანამედროვე მეთოდებში ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზით: 12 საჯარო პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგები ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულებით უნდა განხორციელდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლების და გადამზადების სისტემაში" პროექტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს შორის 2013 წლის 25 იანვარს გაფორმებული N01/03-25.01.2013 საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში. ვინაიდან აღნიშნული საგრანტო ხელშეკრულების ამოქმედება (ცვლილების შეტანის გამო) გადავადებული იქნა 2015 წლის დასაწყისისთვის, შესაბამისად, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგებს აღნიშნული მიმართულებით ჩაატარებს 2015 წელს.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სამიზნე პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა: 20 საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

სამიზნე პროფესიული სასწავლებლების გეოგრაფიული განაწილება: მთელი ქვეყნის მასშტაბით - თბილისის, ქვემო ქართლის (ქ. რუსთავი), კახეთის (თელავი, კაჭრეთი), შიდა ქართლის (გორი), იმერეთის (ქუთაისი), სამცხე-ჯავახეთის (ახალციხე), რაჭა-ლეჩხუმის (ამბროლაური), გურიის (ოზურგეთი), აჭარის (ბათუმი, ქობულეთი), სამეგრელო-ზემო სვანეთის (ფოთი, ზუგდიდი, ჯვარი, მესტია) რეგიონების პროფესიული სასწავლებლები.

მონაწილე პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა რაოდენობა, რომელთაც გაიარეს პროფესიული განვითარების ტრენინგები:

1. სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით - 378 მასწავლებელი (საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა დაახლოებით 60%);

2. ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულებით ტრენინგები მონაწილეთა რაოდენობა - 88 მასწავლებელი (5 პროფესიული სასწავლებლიდან);

3. ტურიზმის მიმართულებით საწარმოებში პრაქტიკულ ტრენინგებში მონაწილე პედაგოგთა რაოდენობა - 61 მასწავლებელი (14 პროფესიული სასწავლებლიდან);

4. ტურიზმის მიმართულების საზაფხულო სკოლის მონაწილეთა რაოდენობა - 60 მასწავლებელი და 40 სტუდენტი საქართველოს 11 საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯიდან, რომლებიც ტურიზმის, სასტუმრო და სარესტორნო სერვისის პროფესიულ პროგრამებს ახორციელებენ;

5. ზოგადი პროფესიული უნარების განვითარების მიმართულებით ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა - 67.

პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერებაზე გაწეული დანახარჯები: 120 000 ლარი (2013 წლის ანალოგიური მაჩვენებელი - 69 000 ლარი; ცვლილება ერთი წლის განმავლობაში - 74%-ით ზრდა)